განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 2020 წლის 7 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 28/10/2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0612
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 02.05.2019; ოქმი №111

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დაღელიშვილი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაქსიმ იავიჩი. საქართველოს უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან. პირველი აკრედიტაცია გაიარა 2014 წ. (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 02.05.2014 №96). ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას რეაკრედიტაციის შემდეგ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით - 02.05.2019; №111, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის ვადით.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ბიზნესის და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგების თანამედროვე მიღწევებს, ამზადებს სპეციალისტებს ინფორმაციული ტექნოლოგიების კვალიფიკაციით, რომლებიც ბიზნესის სფეროსთვის ქმნიან თანამედროვე ინფორმაციულ თუ პროგრამულ რესურსს.

პროგრამის ენა ქართულია. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, უცხო ენაში და სპეციალობაში გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში. სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი (0612).** საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი): 60 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები; 10 კრედიტი პრაქტიკა; 30 კრედიტი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის მომზადება და დაცვა. 10 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები; 10 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსები;

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 7 სექტემბერს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29.07.2020 წლის N641480 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა

ჯგუფის შექმნისა და სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 4 სექტემბერს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

2020 წლის 7 სექტემბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან.

ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს უცხო ენა და ჩაიწეროს - ინგლისური ენა და ცოდნის დონე B2.
  - დაზუსტდეს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე: „პრაქტიკა“, „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ბიზნეს-ინგლისური“.
  - სასწავლო კურსი „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ შინაარსი გაძლიერდეს მაგისტრატურის დონის შესაბამისად.
  - კურსში „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ ჩაემატოს უკაბელო კომუნიკაციების საკითხები.
  - სასწავლო კურსის „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ შეიცვალოს სხვა კურსით, რომლშიც შეისწავლება კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საკითხები.
  - დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებული იქნეს სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.

- რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს მოცემული პროგრამისთვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართვას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის შემუშავებაში/განვითარებაში მოწვეული პერსონალის ჩართულობა
- სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხებში დაემატოს რამდენიმე საკითხი მარკეტინგის საფუძვლებიდან
- დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკაზე გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების დონეები
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროექტებში დოქტორანტებთან ერთად, მაგისტრანტების ჩართულობაც. უსდ-ს აქვს მდიდარი გამოცდილება სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის განხორციელების.
- გასწორდეს მინიმალურ კომპეტენციის ზღვრებთან და შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები შემდეგ სასწავლო კურსებში: „ბიზნეს-ინგლისური“, „სტრატეგიული მარკეტინგი“, „სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში“, „ფინანსური მართვა“, „პრაქტიკა“ „სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი“, „აგრობიზნესის მენეჯმენტი“, „მიწის მართვის თანამედროვე სისტემა“.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- რექტორის საათი - ყოველი თვის ბოლოს დაგეგმილი შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, რომლის განმავლობაში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად გაესაუბრონ რექტორს და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმდინარე საკითხებზე.
- ონლაინ სწავლებასზე გადასვლისას სტუდენტების უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკით და მუდმივი ინტერნეტით
- ლექციაზე ურთიერთდასწრების მექანიზმი

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამაში გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. აკრედიტაციის ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება. პროგრამაში ფინანსების დარგის გაძლიერების მიზნით ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი - ბიზნესის შეფასების

პრინციპები, ჩანაცვლდა ახალი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსით - ფინანსური მართვა. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი - ოპერაციათა კვლევის თანამედროვე მეთოდები ჩანაცვლდა არსებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსით - ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება, პროგრამიდან ორი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსების: სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი, ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის სისტემების მოდელირება და დაპროექტება, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებში გადატანის საფუძველზე - პროგრამას დაემატა პრაქტიკა - 10 კრედიტი. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელდა კოლეგიალური შეფასებების დანერგვა.

მოხდა ცვლილებები სილაბუსებში:

- ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები-თემატიკა განახლდა ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტის შესაბამისად;
- ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება-დაემატა ასიმეტრიული ალგორითმები;
- ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++ C#) - გაძლიერდა კონკრეტული საგნობრივი სფეროს შესაბამისი პრაქტიკული ამოცანებით.
- სილაბუსებში განახლდა ლიტერატურა, დაემატა ინგლისურენოვანი ლიტერატურა.
- გაიზარდა ბიზნეს-ინგლისურის საათების რაოდენობა 7 კრედიტი

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის - „ბიზნეს-ინფორმატიკის“ მიზანი ეფუძნება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანია: 1. ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე მკვლევარ-სპეციალისტის ჩამოყალიბება; 2. კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვა დარგებთან, კერძოდ, - ბიზნესთან ინტეგრირება, რათა უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად რეგიონის (და არამარტო) შრომის ბაზარი უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებიც ბიზნესის სფეროსთვის შექმნიან თანამედროვე ინფორმაციულ და პროგრამულ რესურსს; 3. დარგის უახლესი მიღწევების ღრმა და სისტემური ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება. პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და შესაბამისობაშია პროგრამის შედეგებთან. პოგრამის მიზნების და ამოცანების შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული: აკადემიური პერსონალი, მაგისტრანტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. წარმოდგენილი მასალების და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ ჩატარებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა, როგორც საჯარო ასევე კერძო ორგანიზაციებისთვის. უნივერსიტეტის მხრიდან ჩატარდა აღნიშნული კვლევის ანალიზი და იგი გამოყენებულ იქნა პროგრამის მზნების ჩამოყალიბებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა o უნივერსიტეტის მისია o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი o სჯსუ-ს ინტერნაციონალიზაციის კონცეფცია o სჯსუ-ს ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge o ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის მიხედვით. აღწერილი შედეგები მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და ავტონომიურობას და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და წავლის შედეგების შეფასების რუკაზე. აღნიშნულ პროგრამას გააჩნია 6 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგები დეტალურადაა აღწერილია სილაბუსებში. სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციპიკას და შრომის ბაზრის მოხოვნებს. ისინი გაზომვადია და აღწერენ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც იძენენ სტუდენტები პროგრამის დასრულებამდე. სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. უნივერსიტეტში არსებობს სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: კრებსითი გამოცდა, რეფერატი, სამაგისტრო ნაშრომი. არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კოლეგების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ ისინი დროულად იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუს შედეგები o საგანმანათლებლო პროგრამა o სილაბუსები o სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი o გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **პროგრამის შემუშავებაში/განვითარებაში მოწვეული პერსონალის ჩართულობა** **დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკაზე გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების დონეები**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. დამატებითი მოთხოვნა - სასპეციალიზაციო გამოცდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. და ასევე გამოცდა უცხო ენაში, რათა დადგინდეს უცხო ენის ცოდნის დონე ან შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსების უმეტესობში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ასევე პირველივე სემესტრში ისწავლება საგანი „ბიზნეს-ინგლისური". სტუდენთებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ისინი უცხო ენის გამოცდაზე აბარებენ ინგლისურ ენას B2 დონის შესაბამის ტესტებს. ამიტომ სასურველია წინაპირობაში დაზუსტდეს უცხო ენა - ინგლისური და ასევე დაზუსტდეს უცხო ენის ცოდნის დონეც B2.

პროგრამაზე ხორიელდება უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. ამიტომ, უცხოელი მოქალაქეები წარმოადგენენ საბუთს ქართული ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ, ან ქართულენოვანი პროგრამის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულია სასპეციალიზაციო საგამოცდო საკითხების თემატიკები და ლიტერატურა. რადგან პროგრამაში პირველივე სემესტრში ისწავლება „სტრატეგიული მარკეტინგი", რაც მოითხოვს მარკეტინგის საფუძვლების ცოდნას, სასურველია გამოცდის საკითხებში დაემატოს რამდენიმე საკითხი მარკეტინგის საფუძვლებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ვებ-გვერდზე, www.sjuni.edu.ge

რეკომენდაციები: პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს უცხო ენა და ჩაიწეროს - ინგლისური ენა და ცოდნის დონე B2.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხებში დაემატოს რამდენიმე საკითხი მარკეტინგის საფუძვლებიდან
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ პროგრამის განვითარების პროცესში. ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

კურსდამთავრებულს ენიჭება ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრის/ Master of Information Technologies (კოდი 0612) აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი), რაც შემდეგნაირად ნაწილდება: 60 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები; 10 კრედიტი პრაქტიკა; 30 კრედიტი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის მომზადება და დაცვა; 10 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები; 10 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსები. აკრედიტაციის ვიზიტისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები გადის პროგრამის შედეგებზე, თუმცა შედეგების რუკაზე დასაზუსტებელია გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების დონეები. პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. პროგრამას დაემატა კურსი „პრაქტიკა“ რომლის მოცულობაა 10 კრედიტი. აღნიშნული საგნის დამატება განხორციელდა როგორც ექსპერტების რეკომენდაციის, ასევე დამსაქმებლების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ასევე პროგრამაში გაიზარდა ბიზნეს-ინგლისურის საათების რაოდენობა და გახდა 7 კრედიტი ოთხის ნაცვლად, რაც იყო სტუდენტების და დამსაქმებლების მოთხოვნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუს შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამა • სილაბუსები • უსდ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o სილაბუსებში განახლდა ლიტერატურა, დაემატა ინგლისურენოვანი ლიტერატურა. o პროგრამაში დაემატა პრაქტიკა 10 კრედიტი მოცულობით o გაიზარდა ბიზნეს-ინგლისურის საათების რაოდენობა და გახდა 7 კრედიტი ოთხის

ნაცვლად
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნეს-ინფორმატიკის პროგრამაში გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. აკრედიტაციის ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება: პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები (60 ECTS), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები (10 ECTS), თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსების (10 ECTS), 10 კრედიტი - პრაქტიკა, 30 კრედიტი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი. ინტერვიუების დროს პროფესორ-მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს აკადემიურ თავისუფლებას და მათ აქტიურ მონაწილეობას პროგრამის შემუშავების პროცესში. აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამაში გაძლიერდა ფინანსების მიმართულება და დაბალანსებულადაა წარმოდგენილი მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანასების საკითხები. ცვლილება შეეხო სავალდებულო სასწავლო კურსს - ბიზნესის შეფასების პრინციპები და ჩანაცვლდა სასწავლო კურსით - ფინანსური მართვა. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი - ოპერაციათა კვლევის თანამედროვე მეთოდები

ჩანაცვლდა არსებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსით - ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება, პროგრამიდან ორი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსების: სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი, ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის სისტემების მოდელირება და დაპროექტება, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებში გადატანის საფუძველზე - პროგრამას დაემატა პრაქტიკა - 10 კრედიტი.

მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში განახლდა ლიტერატურა და დაემატა ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ზოგიერთ საგანში მოძველებულია ლიტერატურა და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად გამოხატეს მზაობა, მოხდეს ლიტერატურის მუდმივი განახლება და აგრეთვე დაემატოს სხვადასხვა რესურსები (უნივერსიტეტისთვის გახსნილია არაერთი სამეცნიერო ბაზა).

პრაქტიკის დამატებით გაუმჯობესდა პროგრამა, რაც ერთხმად აღნიშნეს დინტერესებულმა მხარეებმა. პრაქტიკა მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ სტუდენტებმა დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით განიმტკიცონ მიღებული ცოდნა.

პროგრამის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია სწავლის შედეგების მისაღწევად, ხოლო უმეტესი კურსები თავისი შინაარსით და სწავლის შედეგებით შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა, არსებობს რიგი საკითხებისა, რაც გამოვლინდა აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ:

- მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსი „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ გაძლიერდა პრაქტიკული ამოცანებით კონკრეტული საგნობრივი სფეროდან, რაც იყო წინა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კურსში პირველი ხუთი ლექცია არის საბაზო თემატიკა და სასურველი კურსში თემატიკა გაძლიერდეს მაგისტრატურის დონის შესაბამისად.
- კურსში „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ ჩაემატოს უკაბელო კომუნიკაციების საკითხები.
- სასწავლო კურსში „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ ისწავლება კრიპტოლოგიის საკითხები და არა ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები და

მათგან დაცვის საშუალებები, რაც შესაბამისობაში არ არის კურსის მიზანთან. სასურველია აღნიშნული კურსი შეიცვალოს სხვა კურსით რომელიც უფრო შეესაბამება პროგრამის კონტექსტს. მაგალითად ისეთი საგნით როგორიცაა კიბერუსაფრთხოება ბიზნესისთვის.

- ასევე არის შეუსაბამობა საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების წინაპირობებსა და სილაბუსებში წარმოდგენილი კურსების წინაპირობებს შორის. მაგალითად: პროგრამაში ბიზნეს-ინგლისურის სასწავლო კურსის წინაპირობად მითითებულია „მინიმუმ B2 დონე“, სილაბუსში „წინაპირობის გარეშე“, პროგრამაში პრაქტიკის წინაპირობაა „ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები მე-2 სემესტრის ჩათვლით.“ , სილაბუსში „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები“; სასწავლო კურსში „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“ პროგრამაში წინაპირობად აღნიშნულია „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++ C#)“, ხოლო სილაბუსში „წინაპირობის გარეშე“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- უსდ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე: „პრაქტიკა“, „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ბიზნეს-ინგლისური“.

- სასწავლო კურსი „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ შინაარსი გაძლიერდეს მაგისტრატურის დონის შესაბამისად.

- კურსში „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ ჩაემატოს უკაბელო კომუნიკაციების საკითხები.

- სასწავლო კურსის „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ შეიცვალოს სხვა

კურსით, რომლშიც შეისწავლება კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საკითხები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა კვლევით პროექტში. კერძოდ, მონაწილეობა მიიღონ უსდ-ში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციებში, აგრეთვე, სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციებში. ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის მიმდინარე სტუდენტებს შორის არაა კონფერენციაში მონაწილეობის პრეცედენტი, რაც დასაქმებულობით ახსნეს, თუმცა კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ აქვთ მონაწილეობა მიღებული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში. ბიზნეს-ინფორმატიკის პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, ტრანსფერული უნარ-ჩევების გამომუშავებაზე:

- ბიზნეს-ინფორმატიკის სფეროში არსებული პრობლემის დადგენა-იდენტიფიცირება;
- პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიება და სტრატეგიის შემუშავება;
- გადაწყვეტილების მიღებისათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;
- სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ანგარიშის მომზადება-გაფორმება და წარდგენა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მიმდინარე წელს უკვე გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას. დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს მათ გამოხატეს ინტერესი და მზაობა პროგრამის სტუდენტების პროფესიული პრაქტიკით უზრუნველყოფის თაობაზე. პროგრამაში წარმოდგენილი მემორანდუმები არ არეგულირებს პრაქტიკის წესს, მხოლოდ ზოგადი ურთიერთთანამშრომლობის ფორმატია გაწერილი.

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის მნიშნელოვანი კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი. ნაშრომის მომზადება და დაცვა ხდება უსდ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის საფუძველზე, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ტექნიკური თუ მეთოდოლოგიური საფუძვლები.

უნივერსიტეტს აქვს შეძენილი აღმომჩენი პროგრამის – „Turnitin”-ის ლიცენზიები და ახდენს სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებას. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება სტუდენტს გონივრულ ვადაში ხარვეზების გასასწორებლად. შემდეგ ეტაპზე ხდება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ნაშრომის ინსტრუქციასთან შესაბამისობის დადგენა. რეცენზენტის დასკვნის საფუძველზე ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

ექსპერტების მიერ განხილულ იქნა სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდეგ დაცულია 1 სამაგისტრო ნაშრომი, სადაც გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაცია და გაძლიერებულია კვლევითი კომპონენტი (წინა ნაშრომები იყო უფრო მეტად მიმოხილვითი ხასიათის). სამაგისტრო ნაშრომში დაცული იყო სამაგისტრო დისერტაციის მომზადების სტრუქტურა: კერძოდ შესავალში ასახული იყო საკვლევი საგანი, კვლევის მიზანი და ამოცანები, გამოყენებული მეთოდები, აგრეთვე კვლევის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია;
- მემორანდუმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სამაგისტრო ნაშრომი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს და ხანგრძლივობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროექტებში დოქტორანტებთან ერთად, მაგისტრანტების ჩართულობაც. უსდ-ს აქვს მდიდარი გამოცდილება სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის განხორციელების.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტებს (TEMPUS-ის 4 პროექტი და ERASMUS+), რაც მნიშვნელოვანი

შესაძლებლობაა სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების გასაცნობად და პრაქტიკაში დასანერგად. მაგალითად, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ გარდა სწავლა-სწავლების ტრადიციული მეთოდების გარდა უნივერსიტეტში ინერგება განმავითარებელი შეფასებები.

პროგრამის განმახორციელებელმა პროფესორებმა აღნიშნეს, რომ უკვე იყენებენ ან უახლოეს მომავალში დანერგავენ განმავიტარებელ შეფასებებს, მათ შორის აღნიშნეს:

- ჯგუფის რეფლექსიური დღიური/Group Reflective Diary;
- ჯგუფისა და მეწყვილის შეფასება /Group (Peer)Assessment;
- ღია სამკერდე ნიშნები -Open Badges;
- მიდგომა „კრიტიკული მეგობარი"/Critical Friends;
- რბილი უნარები 21 საუკუნეში / Soft Skills for the 21st century.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში გვხვდება სწავლა-სწავლების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც შესაბამისია სასწავლო კურსებთან და ზოგადად, სფეროსთან. მათ შორისა ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული მეცადინეობა, პრაქტიკა, საკურსი სამუშაო/პროექტი, დამოუკიდებელი მუშაობა. რაც შეეხება სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამის აქტივობებს, გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვ.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის კომპონენტებში არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამა;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტების (TEMPUS-ის 4 პროექტი და ERASMUS+ -ის სამი მიმდინარე პროექტი) (საგრანტო ხელშეკრულებები და ხელმძღვანელის სერტიფიკატები);
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი შეადგენს 51 ქულას. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტი. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემა ნათლად არის გაწერილი.

გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა კომპონენტი და მეთოდი, მორგებულია ცალკეული კურსების სპეციფიკაზე თუმცა, სილაბუსების გაცნობის პროცესში გამოვლინდა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა კომპეტენციის ზღვართან და შეფასების კომპონენტებთან მიმართებით. კერძოდ, შემდეგ სასწავლო კურსებში: „ბიზნეს-ინგლისური“, „სტრატეგიული მარკეტინგი“, „სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში“, „ფინანსური მართვა“, „პრაქტიკა“ „სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი“, „აგრობიზნესის მენეჯმენტი“, „მიწის მართვის თანამედროვე სისტემა“. სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების ფორმებია: წერითი დავალება, ზეპირი გამოკითხვა, რეფერატის მომზადება და მისი პრეზენტაცია. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. ეს დადასტურდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებიდანაც. სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ პირს ევალება სტუდენტებს პირველივე შეხვედრაზე გააცნოს სასწავლო კურსის მიზანი, სილაბუსის შინაარსი, სავარაუდო შედეგები, ამ შედეგების მიღწევის გზები და საშუალებები, შეფასების კრიტერიუმები.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც გაწერილია სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში (დანართი 1). სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებით ჩამოყალიბებულ პრინციპებს.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები (მათ შორის Moodle). სასწავლო კურსების სილაბუსები ხელმისაწვდომია სტუდენტის ელექტრონულ ბაზაში.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იცნობენენ შეფასების ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. ლექტორის მიერ საჭიროებისამებრ ხდება შუალედური გამოცდის შედეგების განხილვაც სამუშაო ჯგუფებში. სტუდენტები ასევე იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ გასაჩივრების სისტემას. სტუდენტებთან გასაუბრების დროს ისინი დადებითად აფასებდნენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კრიტერიუმებს.

სტუდენტსა და მასწავლებელს შორის მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კითხვარების დახმარებით. შეფასების შედეგები ანალიზდება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლიდან ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ERASMUS_-ASSET - Assessement Tools for HEI Learning Environment 2017-2020, რომელიც ითვალისწინებს შეფასების სრულიად ახალი მეთოდების დანერგვას სასწავლო პროცესში. შესაბამისად, პროექტი ერთ-ერთი დამხმარე ინსტრუმენტი იქნება პროგრამის განვითარებისთვის მომავალში. მაგალითისთვის, პროექტის ფარგლებში უკვე დაგეგმილია სტუდენტთა შეფასების კომპონენტებში ღია სამკერდე ნიშნების სისტემის პილოტირება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების

ზოგიერთი სავალდებულო კურსის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • სტუდენტთა შეფასების წესი; • სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია; • სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა; • ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გასწორდეს მინიმალურ კომპეტენციის ზღვრებთან და შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები შემდეგ სასწავლო კურსებში: „ბიზნეს-ინგლისური“, „სტრატეგიული მარკეტინგი“, „სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში“, „ფინანსური მართვა“, „პრაქტიკა“ „სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი“, „აგრობიზნესის მენეჯმენტი“, „მიწის მართვის თანამედროვე სისტემა“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე სათანადო ინფორმაციას სხვადასხვა წყაროს გამოყენებით იღებენ. მაგალითად, ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვ. შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან, უნივერსიტეტის ოფიციალურ facebook გვერდიდან, დეკანატიდან. ზოგადად, სტუდენტებს საერთაშორისო მობილობების და პროექტების შესახებ ინფორმაციას აწვდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მომუშავე უფროსი სპეციალისტი. მიუხედავად ამისა, მაგისტრანტები ნაკლებად აქტიურობენ გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობაზე. მაგალითისთვის 2014 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში პირდაპირო მობილობით (პოლონეთის რესპუბლიკის ლოძის უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემურანდუმის საფუძველზე) მხოლოდ 6 სტუდენტმა ისარგებლა, აქედან სამი ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტები იყვნენ. მაგისტრანტებთან საუბრის დროს მათი პასიურობის მთავარ მიზეზად სახელდება დრო და სამსახური. უნივერსიტეტის

ადმინისტრაციასთან საუბრის დროს აღინიშნა, რომ ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში სიტუაციის გამოსასწორებლად დამატებით აქვთ მოთხოვნილი სტატიის გამოქვეყნება და კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაც და ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრემისას მათ გამოთქვეს მზაობა, რომ აღნიშნულ პროგრამაშიც განახორციელონ მსგავსი მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ რექტორის ინიციატივით უნივერსიტეტში ყოველი თვის ბოლოს იმართება რექტორის საათი. შეხვედრა იმართება თავისუფალ ფორმატში, სტუდენტები სვამენ კითხვებს, მსჯელობენ და სხვ.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ასევე, ლექტორთან საკონსულტაციო დრო. სტუდენტთა საჭიროებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის ლექტორთან შეთანხმებით შეიძლება დაინიშნოს დამატებითი საკონსულტაციო საათებიც. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს. ამასთან, კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები და სხვ.) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მათ პირად გვერდზე.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტი ყოველ სემესტრულად ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. ხდება სასწავლო კურსის ლექტორის შეფასება, ხოლო კვლევის ანგარიში ეცნობა დაინტერესებულ მხარეებს. ამასთანავე ხორციელდება კვლევა პერსონალის უკუკავშირის სტუდენტთა შეფასებაზე (დასტურდება წარმოდგენილი ბოლო კვლევის შედეგებით).

უნივერსიტეტში სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისის განხორციელებლად გამოყოფილია სპეციალური საშტატო ერთეული, რომელიც შედის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას და კონსულტირებას კარიერული განვითარების კუთხით. ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ ხდება მუდმივი თანამშრომლობა დამსაქმებლებთან რეგიონის მასშტაბით და ახალი ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სტუდენტებში. პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ყველა მათგანი არის დასაქმებული, თუმცა არა კვალიფიკაციით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საერთაშორისო პარტნიორ უნივერისტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სტუდენტთა მიერ კურსის შეფასება;
- პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა შეფასებაზე;
- პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო

თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით • სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს მოცემული პროგრამისთვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართვას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • რექტორის საათი - ყოველი თვის ბოლოს დაგეგმილი შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, რომლის განმავლობაში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად გაესაუბრონ რექტორს და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმდინარე საკითხებზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია. აქ ვხვდებით სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს, დოკუმენტში

	გაწერილია, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან როგორც სამეცნიერო რჩევების მიცემით და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესში დახმარებით, ისე ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი იქნებიან უზრუნველყონ სტუდენტები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში. მაგისტრანტს ასევე, გამოეყოფა რეცენზენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადახედვისა და ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული დოქტორი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. ხელმძღვანელი კონტროლს უწევს მაგისტრანტის მიერ კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვას. კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან მაგისტრანტებს და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას. კერძოდ, ხელმძღვანელი ეხმარება მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის ფორმირებაში, ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებასა და მოძიებაში. ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაცულია 6 სამაგისტრო ნაშრომი. ნაშრომების გაცნობისას გამოვლინდა ზოგიერთი ნაშრომის (შესრულებული წინა წლებში: 2017, 2018) ნაწილობრივი შეუსაბამობა სამაგისტრო ნაშრომის დებულების მოთხოვნებთან (აკადემიური წერის სტანდარტები, ლიტერატურის ჩამონათვალი, სტრუქტურა, კვლევის მეთოდები). მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის გამოსწორებული უკანასკნელი, 2019 წელს დაცული სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელიც გამოიყენება ნაშრომების შემოწმებისას. აღსანიშნავია, რომ ყველა დაცული სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებულია Turnitin-ის პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• მაგისტრატურის დებულება, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები; • აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები; • დაცული სამაგისტრო ნაშრომები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 აფელირებული პროფესორი, 6 აფელირებული ასოცირებული პროფესორი და 3 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება: აკადემიური პერსონალი წლების მანძილზე კითხულობს ლექციებს შესაბამის კურსებში, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო შრომები, მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას სტაჟირების პროგრამებით და გადამზადების კურსებით, ჩართულია სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. ორივე მათგანს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მათი კვალიფიკაციის ხარისხი დასტურდება დარგის შესაბამისი კვალიფიკაციით. პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში.

სტუდენტთა დახმარება წარმოადგენს პედაგოგთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. იგი მიმდინარეობს რეგულარულად და ემსახურება სტუდენტთა წარმატებულ სწავლას. სტუდენტები კვალიფიციური დახმარებას ღებულობენ ადმინისტრაციისაგან მათთვის სასურველი ინფორმაციის მიღების და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის მხრივ. სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომელთაც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვიზიტისას, "კმაყოფილნი" არიან მათთვის გაწეული დახმარებით.

პედაგოგებს და სტუდენტებს დახმარებას უწევს ადმინისტრაცია სასწავლო პროგრამის ორგანიზების საკითხებში. ადმინისტრაციული პერსონალი საკმარისი რაოდენობითაა. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია

შეესაბამება მათ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o პროგრამაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები o სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი o საგანმანათლებლო პროგრამა o პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე მაგისტრანტთა ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები o პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები o ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობს სამეცნიერო ღონისძიებებში, ასევე ასპონსორობს სხვადასხვა კონკურსებსა და კონფერენციებს. უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება საერთაშორისო და შიდა საუნივერსიტეტო კონფერენციები, სემინარები და სიმპოზიუმები აკადემიური პერსონალისა და მაგისტრანტების ჩართულობით, სადაც ხდება თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის წარმოჩინება. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის და შესაბამისად პროგრამის თანამშრომლები მონაწილეობენ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, რომელიც ფინანსდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიაციების მიერ (Erazmus+ , TEMPUS). აკადემიურ პერსონალს აქვს მიმდინარე საგრანტო პროექტები და კვლევები.

სსიპ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებას, რაც მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტებს. უდს ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნულის ფარგლებში უნივერსიტეტი ანაზღაურებს მნიშვნელოვან სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში, ტრენინგებსა თუ სხვა ღონისძიებებში წარგზავნილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობის ხარჯებს; სტუდენტთა და თანამშრომელთა კონფერენციების ჩასატარებელ ხარჯებს; ეწევა სამეცნიერო შრომათა, სასწავლო სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემის თანადაფინანსებას. ასევე, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება თანადაფინანსება იმპაქტ ფაქტორიან ან სხვა საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად ბაზებში რეგისტრირებულ ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები-სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია;
- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით. მათ შორის თანამედროვე საკონფერენციო თუ კომპიუტერული ტექნიკით. უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიებით, როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებთან მუშაობისთვის. უნივერსიტეტი დროდადრო ახორციელებს პროგრამისთვის საჭირო როგორც ტექნიკური ასევე პროგრამული რესურსების განახლებას/შეძენას. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელ ძირითად და

დამხმარე ლიტერატურას ქართულ და უცხოურ ენებზე. ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებსა და კაბინეტებში როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, ასევე არის საერთაშორისო სამეცნიერო საგამომცემლო სახლის ელსევიერის კონსორციუმის წევრი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა, რომ ისარგებლონ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენლების მხრიდან სტუდენტებისთვის სისტემატიურად ტარდება ტრენინგები სამეცნიერო ბაზებთან მუშაობასთან დაკავშირებით. საკლასო ოთახების რაოდენობა, ხარისხი, მედია და IT სიმძლავრეები შეესაბამება პროგრამისათვის საჭირო სტანდარტებს. ინტერნეტთან წვდომა ლეპტოპებით უკაბელო LAN-ის მეშვეობით უფასოა. შენობაში ოთახების საკმაო რაოდენობაა ჯგუფებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის კომსოლიდირებულ ბიუჯეტში ასახულია პროგრამის როგორც განხორციელების, ისე მისი განვითარებისთვის საჭირო ხარჯები. პროგრამის შემოსავლიდან გარკვული ნაწილი ხმარდება აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას. ასევე გათვალისწინებულია კონფერენციებში მონაწილეობის; საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების პუბლიკაციის; და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯები. შემოსავლების დანარჩენი ნაწილი ხმარდება სამეურნეო და საოფისე ხარჯებს, ლაბორატორიულ და ტექნოლოგიურ განვითარებას. პროგრამის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილი. უნივერსიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულია სახსრები უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო ფონდის და სხვა მიმართულებით განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ონლაინ სწავლებასზე გადასვლისას სტუდენტების უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკით და მუდმივი ინტერნეტით
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცედურა, რომელიც სისტემატური მონიტორინგით განავითარებს პროგრამის ხარისხს, მისი შინაარსის, პროცესების და შედეგების კუთხით, დადგენილია, აღწერილია და გამოყენებულია დეტალურად. პასუხისმგებლობა მკაფიოდაა განსაზღვრული. PDCA ციკლი წარმატებითაა დანერგილი. იგი განიხილავს შეფასების შედეგებს და აანალიზებს სტუდენტთა შეფასებას და კურსდამთავრებულთა დასაქმებას. თვითშეფასების ანგარიში მომზადდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით. შიდა კომუნიკაციები და თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის უზრუნველყოფილია. შიდა ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება შესაბამისი ინსტრუმენტები,

როგორებიცაა შეფასებისა და ანალიზის საშუალებები მაგ. კითხვარები სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისათვის, ურთიერთდასწრება და სხვა. პროგრააში წარმოდგენილია აღნიშნული კითხვარების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სტუდენტების გამოკითხვის შედეგად განხორციელდა პროგრამაში უცხო ენის საკონტაქტო საათების გაზრდა. ხარისხის კონტროლი ხორციელდება რეგულარულად და კოორდინირებულია გაწერილი პროცედურის მიხედვით; შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფს ხარისხის განვითარების პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის პერსონალთან ერთად, მუდმივად მუშაობს გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი • საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები • *გამოკითხვის ფორმები* • კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემა • სტუდენტთა გამოკითვის შედეგები, ანალიზი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმიდგენილ ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია ყველა რეკომენდაცია, რომელიც აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ იქნა შემოთავაზებული 2019 წელს. კერძოდ: პროგრამაში გაძლიერდა ფინანსების დარგის სასწავლო კურსები; პროგრამას დაემატა პრაქტიკა - 10 კრედიტი. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელდა კოლეგიალური შეფასებების დანერგვა. გაძლიერდა სამაგისტრო ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიის წარმოჩენის დონე. დაემატა ახალი და ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

სასწავლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მხრიდან რეგულარულად პროცედურის შესაბამისად; შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფს ხარისხის განვითარების პროცესს. დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკული კურსების როლი.

პროგრამაში ასევე წარმოდგენილია გარე შეფასების დოკუმენტები: თურქეთის, სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტისა და ხარკოვის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის მიერ ბიზნეს-ინფორმატიკის პროგრამის კოლეგიალური შეფასება, სადაც თურქი კოლეგა დადებითად აფასებს პროგრამის შინაარს, პროგრამის ხელმძღვანელთა პროფესიონალიზმს და გამოთქვამს ურთიერთთანამშრომლობის სურვილს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან; ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის მიერ ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, სადაც პროგრამა შეფასდა დადებითად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2019 წლის ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები
- უცხოელი/ქართველი კოლეგის გარე რეკომენდაცია/შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტში არსებული პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების პროცედურების დაცვით. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. რომლის მიხედვით პროგრამა მოდიფიცირდება შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე. პროგრამის ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ აღნიშნულ კურსს. მიღებული შედეგების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გაუმჯობესება. პროგრამა ასევე იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას ადგილობრივი და უცხოელი კოლეგების მიერ. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია აღნიშნული შეფასებები და

და რეკომენდაციები ასახულია პროგრამაში. უსდ ასევე აქტიურად იყენებს ლექციებზე დაკვირვებას. შემუშავებული აქვს ლექციაზე დაკვირვების ფორმა. აკადემიური პერსონალი წინასწარ იღებს ინფორმაციას, რომ მათ დააკვირდებიან. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პერიოდულად ხორციელდება პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **ლექციაზე ურთიერთდასწრების მექანიზმი**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) **კოლეგიალური შეფასების დანერგვა**
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სამცხე –ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიზნეს-ინფორმატიკა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანი არაბული

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაქსიმ იავიჩი 

ნათია დაღელიშვილი

ნინო ტალიკაძე